სახელისუფლებო და ანტილიბერალური FACEBOOK გვერდების ორგანიზებული კამპანია საპროტესტო აქციის წინააღმდეგ

69 FB გვერდი და 60 დასპონსორებული პოსტი საპროტესტო აქციის წინააღმდეგ



რედაქტორი:

თამარ კინწურაშვილი

ავტორი:

ნანა რაფავა

დიზაინი:

მარიამ ცუცქირიძე

http://www.mythdetector.ge
www.mdfgeorgia.ge

მედიის განვითარების ფონდი, 2019

სახელისუფლებო და ანტილიბერალური Facebook გვერდების ორგანიზებული კამპანია საპროტესტო აქციის წინააღმდეგ

14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტის ჩავარდნას რუსთაველის გამზირზე ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა. 18 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლებამ პარლამენტის წინ გამართული მშვიდობიანი საპროტესტო აქცია სპეციალური დანიშნულების რაზმისა და ძალის გამოყენებით დაშალა. დემონსტრაცია პარლამენტის წინ 25 ნოემბერს განახლდა, ხოლო 26 ნოემბერს, გამთენიისას, პოლიციამ წყლის ჭავლის გამოყენებით კიდევ ერთხელ დაშალა პარლამენტის წინ შეკრებილი მოქალაქეები.

14 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით, აქციების მიმდინარეობის პარალელურად, მედიის განვითარების ფონდი აკვირდებოდა Facebook გვერდების აქტივობებს და გამოავლინა ორგანიზებული კამპანია, რომელიც მიმართული იყო როგორც რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მშვიდობიანი დემონსტრაციისა და ოპოზიციის დისკრედიტაციისაკენ, ისე ხელისუფლების ქმედებების გამართლებისაკენ, რაც დასპონსორებული პოსტების სახით ვრცელდებოდა.

მთავარი ტენდენციები

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- საპროტესტო აქციის წინააღმდეგ კამპანიაში ჩართული იყო 69 Facebook გვერდი, რომელთაგან ყველაზე მეტი (41) ხელისუფლებას უკავშიდებოდა. კერძოდ: 27 ხელისუფლების ოპონენტების წინააღმდეგ შექმნილი, 4 "ქართული ოცნების" პარტიული ან პარტიის მხარდამჭერი გვერდი, ხოლო 11 სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიის ფეისბუკ გვერდი, ასევე გვერდები, რომლებიც სოციალურ სივრცეში მედიის სახელით პოზიციონირებენ.
- აქციის საწინააღმდეგო კამპანიაში ჩართული იყო 21 ანტილიბერალური, 3 ანტიდასავლური და 3 შერეული კონტენტის მქონე გვერდი.
- გამოვლენილი 69 გვერდიდან 25 2019 წელს არის შექმნილი, ხოლო 18 - 2018 წელს.
- გამოიკვეთა ორი შემთხვევა, როცა მედიის სახელით მოქმედ გვერდს ან პარტიული აქტივისტი მართავდა (G the TV), ან წარსულში გვერდი "ქართული ოცნების" სახელით ოპერირებდა (საინფორმაციო გვერდი / Information page).
- მონიტორინგის შედეგად გამოვლენდა, რომ ღია ფეისბუკ ჯგუფ "საინტერესოს" მართავს ანტილიბერალური გვერდი "მოვკვდები საქართველოსთვის", ჯგუფის ადმინები კი ამჟამად გაუქმებული ტროლ-პროფილებია.
- სულ ჯამურად ხელისუფლებასთან დაკავშირებულ გვერდებს 295 ადმინისტრატორი ჰყავს; აქედან ყველაზე მეტი - 30 ადამიანი - სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიის "კვირა.ჯი"-ს ფეისბუკ გვერდს მართავს; ანტლიბერალურ გვერდებს სულ 82 ადმინისტრატორი მართავს, ანტიდასავლურს - 17.
- ანტიდასავლური გვერდის "ა ზ ი მ უ ტ ი ს" 15 ადმინისტრატორიდან ერთ-ერთი გვერდს რუსეთის ფედერაციიდან მართავს.
- მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა 5 ფეისბუკ გვერდი, რომელიც აქციის დისკრედიტაციის მიზნით დროის მოკლე შუალედში იდენტურ მასალებს ავრცელებდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ გვერდებს შესაძლოა ერთი და იგივე პირები მართავდნენ. მითითებული გვერდებიდან 4 ანტილიბერალური შინაარსისაა (Pressტიტუცია/Presstitution, 3,14 ზდეც, Fაქტები და Revelation), ხოლო 1 ანტიდასავლურის (Blue Soviet Union / ლურჯი საბჭოთა კავშირი).
- გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული, ანტილიბერალური და ანტიდასავლური გვერდები ერთსა და იმავე კონტენტს ერთმანეთისაგან აზიარებდნენ.
- მონიტორინგის პერიოდში საპროტესტო აქციების წინააღმდეგ 50 დასპონსორებული პოსტი გამოქვეყნდა.
- ორგანიზებული კამპანიის ფარგლებში შემდეგი გზავნილები ვრცელდებოდა:
    - საპროტესტო აქციის მონაწილეები ლგბტ თემს წარმოადგენენ და თავს გვახვევენ ჰომოსექსუალობას
    - საპროტესტო აქციის მონაწილეები ლგბტ თემს წარმოადგენენ და თავს გვახვევენ ჰომოსექსუალობას,
    - აქციის მონაწილეები ებრძვიან ეკლესიას,
    - რუსთაველზე მიმდინარე აქცია უკანონოა და რევოლუციის მცდელობაა,
    - დემონსტრანტები ოპოზიციამ მოისყიდა,
    - პროპორციული საარჩევნო სისტემა ანტიკონსტიტუციურია
    - ვრცელდებოდა სექსისტური გზავნილები ოპოზიციის ლიდერი ქალების წინააღმდეგ,
    - ხდებოდა ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის მთელ ოპოზიციურ სპექტრთან დაკავშირება ყალბი ინფორმაციისა და სხვადასხვა ვიზუალური მანიპულაციების გამოყენებით.

- გვერდების აქტივობის დინამიკა საპროტესტო აქციების მიმდინარეობის პარალელურად, 14-25 ნოემბრის პერიოდში გაიზარდა, ხოლო დეკემბერში დაიკლო, რაც იმის მანიშნებელია, რომ გვერდები ანტისახელისუფლებო აქციების პერიოდში გააქტიურდნენ.

კამპანიაში ჩართული გვერდები

მონიტორინგის პერიოდში საპროტესტო აქციის წინააღმდეგ 69 ფეისბუკ გვერდი აქტიურობდა, რომლებიც 2 ძირითად ჯგუფად დავყავით. ესენია:

I. სახელისუფლებო გვერდები (41),
II. ანტილიბერალური და ანტიდასავლური გვერდები (24).

სახელისუფლებო და ხელისუფლებასთან დაკავშირებული გვერდები თავის მხრივ შემდეგ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

1. ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული გვერდები (27),
2. სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიები (11), რაც როგორც ტრადიციული მედიის ფეისბუკ გვერდებს, ასევე იმათაც მოიცავს, რომლებიც სოციალურ სივრცეში მედიის სახელით პოზიციონირებენ. .
3. ქართული ოცნების ოფიციალური და მისი მხარდამჭერი გვერდები (4).

ანტილიბერალური და ანტიდასავლური გვერდების გარდა, ცალკე “სხვადასხვაში” გამოვყავით 3 გვერდი, რომელთაც ცალსახად გამოკვეთილი პოლიტიკა არ ჰქონდათ:

1. ანტილიბერალური (21),
2. ანტიდასავლური (3)
3. შერეული კონტენტის მქონე სხვადსხვა გვერდი (3).



გამოვლენილი გვერდებიდან 25 2019 წელს არის შექმნილი, ხოლო 18 - 2018 წელს.

ოპონენტების წინააღმდეგ შექმნილი გვერდები - 27 სულ ადმინები: 162	მმართველი პარტიის და მისი მხარდამჭერი გვ-ები - 4 სულ ადმინები: 37	სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიების გვერდები - 11 სულ ადმინები: 96		ანტილიბერალური გვერდები - 21 სულ ადმინები: 83	ანტიდასავლური - 3 სულ ადმინები: 17	სხვადასხვა სულ ადმინები:10
		ტრადიციული მედიების გვერდები	Facebook მედიები			
Nika Kvirikashvili's Blog 18.11.2019 *ადმინი: დაუდგენელია*	*ლიდერი 41* *20.02.2019* *ადმინი: 3*	*მედიაჰოლდინგი "კვირა"* *01.07.2019* *ადმინი: 30*	*"ინფორმაციადღეს* 16.08.2019 *ადმინი:* 3	Pressტიტუცია/Presstitution 09.11.2019 *ადმინი: დაუდგენელია*	*Blue Soviet Union / ლურჯი საბჭოთა კავშირი* *09.11.2019* *ადმინი: დაუდგენელია*	*სიმართლე* *04.11.2018* *ადმინი: 3*
დასასრული *16.10.2019* *ადმინი: 6*	*ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები* *22.05.2018* *ადმინი: 7*	*რეპორტიორი* *17.04.2013* *ადმინი: 8*	*Infomedia+* *12.01.2019* *ადმინი: 6*	*3,14 ზდეც* *11.11.2019* *ადმინი: დაუდგენელია*	*ა ზ ი მ უ ტ ი* *19.12.2017* *ადმინი: 15*	*ქართული გვერდი / Georgian Page* *28.12.2018* *ადმინი: 3*
პოლიტიკური სააშკარაო 14.01.2019 *ადმინი: 5*	*Bidzina Ivanishvili & Media* *09.10.2011* *ადმინი: 19*	*მარშალ პრეს* *20.02.2015* *ადმინი: 7*	*Caucasus News Report* *17.07.2019* *ადმინი: 5*	*Faქტები* *10.07.2019* *ადმინი: 3*	*კავკასიელს არასდროს ერქმევა ევროპელი* *09.02.2016* *ადმინი: 2*	*დედაქალაქი* *29.06.2016* *ადმინი: 4*
მიმისტრი 18.02.2019 *ადმინი: 5*	*ქართული ოცნება* *12.10.2011* *ადმინი: 8*	*For.ge - საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი* *22.12.2010* *ადმინი: 8*	*ეროვნული მედია* *02.11.2018* *ადმინი: 6*	*Alt-Group • ალტ-ჯგუფი* *06.11.2019* *ადმინი: დაუდგენელია*		
მეხუთე კოლონა *03.04.2019* *ადმინი: 5*			*G the TV* *05.12.2018* *ადმინი: 1*	*საქართველო უპირველეს ყოვლისა* 23.02.2019 *ადმინი: 1*		
პოლიტიკური სამრეცხაო 25.04.2019 *ადმინი: 6*			*ტელე სკოპი* *25.08.2016* *ადმინი: 13*	*ქრისტიანებმა გავაზიაროთ* *18.06.2019* *ადმინი: 5*		
ქართული სახელმწიფო *20.03.2019* *ადმინი: 3*			*საინფორმაციო გვერდი / Information Page* *04.02.2014* *ადმინი: 9*	*სულით ქართველი* *19.01.2019* *ადმინი: 4*		
ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო *14.05.2019* *ადმინი: 8*				*პატრიოტული გვერდი* *24.05.2019* *ადმინი: 2*		
სირცხვილის კორიდორი *21.05.2019* *ადმინი: 8*				*Antiliberal League - ანტილიბერალური ლიგა* *18.03.2019* *ადმინი: 4*		

გიორგი აღაპიშვილის ბლოგი (სახელის შეცვლის შემდეგ ჰქვია "ხელოვნური ინტელექტის ბლოგი") *22.07.2019* *ადმინი: 3*				*Beqa Vardosanidze • ბექა ვარდოსანიძე* *17.04.2018* *ადმინი: 5*		
სექტა *16.11.2018* *ადმინი: 1*				*ანტი-პარადოქსი (გაუქმებულია)*		
ორი გვამი უნდათ *15.11.2018* *ადმინი: 11*				*არა გენდერს და ლგბტ პროპაგანდას* *29.08.2018* *ადმინი: 1*		
გრიგოლ შტაბკვარწირა *20.07.2018* *ადმინი: 5*				*Unofficial Conspiracies* *01.06.2018* *ადმინი: 4*		
მახსოვს/Makhsovs 06.07.2018 *ადმინი: 3*				ანტი-ლიბერალური გვერდი 22.06.2018 *ადმინი: 10*		
პოლიტიკური სანაგვე 27.06.2018 *ადმინი: 12*				*მოვკვდები საქართველოსთვის* *15.06.2018* *ადმინი: 11*		
ნაციონალისტის გვერდი 23.08.2018 *ადმინი: 3*				ნუ გამოლიბერალდები, იაზროვნე 27.05.2017 *ადმინი: 2*		
ჩვენი დროის გმირი/Heroo *02.04.2018* *ადმინი: 7*				*შენ ხარ საქართველო* *06.10.2017* *ადმინი: 3*		
იყავი და გაგაკეთებინა 02.03.2018 *ადმინი: 11*				*დადუმებული ქართველობა* *10.01.2016* *ადმინი: 5*		
არ დაივიწყო წარსული 21.07.2017 *ადმინი: 8*				ალტ-კლუბი (წარსულში ერქვა ანტილიბერალური კლუბი) 15.11.2015 *ადმინი: 13*		
ნაცია ადამიანი? *11.07.2017* *ადმინი: 5*				*Revelation* 16.06.2014 *ადმინი: 6*		
ძაან უდუმაშვილი *27.06.2017* *ადმინი: 3*				*წინაპარათა ნაკვალევზე* *25.02.2013* *ადმინი: 3*		
ტერენტი გლდანელი *09.06.2016* *ადმინი: 1*						
ერთიანი ცინიკური მოძრაობა *10.07.2014* *ადმინი: 5*						

ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა 27.04.2013 *ადმინი: 16*						
ნუ გეშინია მიშა 12.09.2012 *ადმინი: 11*						
მიხეილ უკრაინოლოგი 15.08.2012 *ადმინი: 10*						

საინფორმაციო გვერდების კავშირები ქართულ ოცნებასთან

გამოიკვეთა ორი შემთხვევა, როცა მედიის სახელით მოქმედ გვერდს ან პარტიული აქტივისტი მართავდა (G the TV), ან წარსულში გვერდი "ქართული ოცნების" სახელით ოპერირებდა (საინფორმაციო გვერდი / Information page):

გვერდ G the TV-ს, რომელიც ფეისბუკზე მედიის სახელით პოზიციონირებს, ადმინისტრატორად გიორგი გიორგაძე ჰყავს მითითებული, რომელიც პარტია ქართული ოცნების წევრია.



G the TV-ს მსგავსად საინფორმაციო მედიის სახელით პოზიციონირებს "საინფორმაციო გვერდი / Information page", რომელიც თავდაპირველად 2014 წლის 4 თებერვალს "ევროპული არჩევანი / evropuli archevani"-ს სახელით დარეგისტრირდა, 2014 წლის 20 თებერვალს კი "თვითმართველობის არჩევნები / ქართული ოცნება"-დ გადაკეთდა, ხოლო ამჟამად საინფორმაციო გვერდის სახელით ფუნქციონირებს. სულ გვერდმა 9 ჯერ შეიცვალა სახელი:



გვერდების მართვა

მონიტორინგის შედეგად გამოვლენდა, რომ ღია ფეისბუკ ჯგუფ "საინტერესოს" მართავს ანტილიბერალური გვერდი "მოვკვდები საქართველოსთვის". ჯგუფის ერთ-ერთი ადმინისტრატორი თავის მხრივ მომხმარებელი სახელად "გიორგი იმნაძე" ამჟამად გაუქმებული პროფილია, რომელიც MDF-ის გამოძიების შედეგად ტროლი აღმოჩნდა. იმნაძემ ჩაანაცვლა ტროლ-ადმინი "გიორგი ბიძინაშვილი", რომელიც ამავე ჯგუფში ხელისუფლების ოპონენტების წინააღმდეგ გზავნილებს ავრცელებდა და Вконтакте-ს მომხმარებლის Sergey Zakharyan-ის იდენტობას იპარავდა. ამჟამად ბიძინაშვილის პროფილიც გაუქმებულია.



სულ ჯამურად ხელისუფლებასთან დაკავშირებულ გვერდებს 295 ადმინისტრატორი ჰყავს, აქედან ოპონენტების წინააღმდეგ მიმართულ გვერდებს - 162, სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიების გვერდებს - 96, ქართული ოცნების პარტიულ და პარტიის მხარდამჭერ გვერდებს - 37. ყველაზე მეტი - 30 ადამიანი სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიის "კვირა.ჯი"-ს ფეისბუკ გვერდს მართავს.

ოპონენტების წინააღმდეგ შექმნილი გვერდები ადმინისტრატორი- 162	მმართველი პარტიის და მისი მხარდამჭერი გვერდები ადმინისტრატორი- 37	სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიების გვერდები ადმინისტრატორი- 96	
		ტრადიციული მედიების გვერდები ადმინისტრატორი - 53	Facebook მედიები ადმინისტრატორი - 43

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ანტლიბერალურ გვერდებს სულ 82 ადმინისტრატორი მართავს, ანტიდასავლურს - 17, სხვადასხვა ტიპის გვერდებს ჯამურად - 10.

ანტილიბერალური გვერდები ადმინისტრატორი - 82	ანტიდასავლური ადმინისტრატორი - 17	სხვადასხვა ადმინისტრატორი -13

აღსანიშნავია ისიც, რომ საპროტესტო აქციის წინააღმდეგ ორგანიზებულ კამპანიაში ჩართულ ანდისავლურ გვერდ "აზიმუტს", რომელიც ქართულ მარშს უკავშირდება, 15 ადმინისტრატორი მართავს, მათგან ერთ-ერთი გვერდი რუსეთის ფედერაციიდან იმართება.



მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა 5 ფეისბუკ გვერდი, რომელიც აქციის დისკრედიტაციის მიზნით დროის მოკლე შუალედში იდენტურ მასალებს ავრცელებდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ გვერდებს შესაძლოა ერთი და იგივე ადამიანები მართავდნენ. მითითებული გვერდებიდან 4 ანტილიბერალური გვერდია (Pressტიტუცია/Presstitution, 3,14 ზდეც, Faქტები და Revelation), ხოლო 1 ანტიდასავლური (Blue Soviet Union / ლურჯი საბჭოთა კავშირი).

დასპონსორებული პოსტები

მონიტორინგის პროცესში აქციის წინააღმდეგ 50 დასპონსორებული პოსტი გამოვლინდა, აქედან ყველაზე მეტი - 44 - ხელისუფლებასთან დაკავშირებულ გვერდებზე გამოქვყნდა, ხოლო ყველაზე ნაკლები - 6 ანტილიბერალურ გვერდებზე.

ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული გვერდები	"ქართული ოცნების" პარტიული და მხარდამჭერი გვერდები	სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიების გვერდები	ანტილიბერალური გვერდები
36 დასპონსორებული პოსტი	5 დასპონსორებული პოსტი	3 დასპონსორებული პოსტი	6 დასპონსორებული პოსტი

დეტალური ინფორმაცია დასპონსორებული პოსტების შესახებ ხელმისაწვდომია [**სლაიდერზე:**](https://albumizr.com/skins/bandana/index.php?key=9Mxp)
https://albumizr.com/skins/bandana/index.php?key=9Mxp

იდენტური კონტენტი

მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა 5 ფეისბუკ გვერდი, რომელიც აქციის დისკრედიტაციის მიზნით დროის მოკლე შუალედში იდენტურ მასალებს ავრცელებდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ გვერდებს შესაძლოა ერთი და იგივე ადამიანები მართავდნენ. მითითებული გვერდებიდან 4 ანტილიბერალურია (Pressტიტუცია/Presstitution, 3,14 ზდეც, Faქტები და Revelation), ხოლო 1 ანტიდასავლური (Blue Soviet Union / ლურჯი საბჭოთა კავშირი). იდენტური კონტენტის ვრცელდებოა შემდეგი სქემით: თავდაპირველად პოსტს გევრდი Pressტიტუცია/Presstitution აქვეყნებდა, ხოლო შემდეგ ამ მასალას სხვა გვერდები აზიარებდნენ. მაგალითად, ერთ შემთხვევაში გვერდმა Pressტიტუცია/Presstitution გამოაქვეყნა აქციის ერთ-ერთი ლიდერის შოთა დიღმელაშვილის ფოტო წარწერით: "მეანუსეთა სწრაფი რეაგირების მოწინავე ანუსი, შოთიკო დიღმელაშვილი. მოვითხოვ, ამ ჩო ი ლარმა შეიცვალოს გვარი და აირჩიოს ისეთი, სადაც ჩემი უბნის სახელი არ ურევია." ფოტო იდენტური წარწერით კოორდინირებულად ზემოთხსნებულმა ოთხმა გვერდმაც გააზიარა.

მეორე შემთხვევაში ჩამოთვლილმა გვერდებმა ვირუსულად გაავრცელეს პარლამენტის შენობიდან გადაღებული ფოტო შენობის წინ მიმდინარე აქციის ხედით, რომელზეც რამდენიმე ადამიანია შეკრებილი, იმის საილუსტრაციოდ, რომ პროტესტი მცირე ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს.







ძირითადი გზავნილები და გავრცელების სქემა

აქციის დისკრედიტაციისა და ხელისუფლების ქმედებების გამართლების მიზნით ვრცელდებოდა შემდეგი გზავნილები:

- საპროტესტო აქციის მონაწილეები ლგბტ თემს წარმოადგენენ და თავს გვახვევენ ჰომოსექსუალობას,
- აქციის მონაწილეები ებრძვიან ეკლესიას, მართლმადიდებლობას,
- რუსთაველზე მიმდინარე აქცია უკანონოა და რევოლუციის მცდელობაა,
- დემონსტრანტები ოპოზიციამ მოისყიდა,
- პროპორციული საარჩევნო სისტემა ანტიკონსტიტუციურია.

“ქართული ოცნების” ოპონენტები წინააღმდეგ შექმნილმა რამდენიმე ფეისბუკ გვერდმა ოპოზიციის ლიდერების თინა ბოკუჩავასა და ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ სექსისტური შინაარის პოსტებიც გაავრცელა. ამასთანავე,

სახელისუფლებო გვერდები ნინო ბურჯანაძის მოსკოვში გამართულ ვიზიტის მთელს ოპოზიციურ სპექტრს ხელოვნურად უკავშირებდნენ.

საპროტესტო აქციის ლგბტ ჯგუფებთან დაკავშირება

ისევე როგორც ივნისის საპროტესტო აქციების წინააღმდეგ, ამ შემთხვევაშიც ხდებოდა აქციის მონაწილეების ლგბთ ჯგუფებთან დაკავშირება. ამ მიზნით რესპუბლიკური პარტიის წევრის დავით ბერძენიშვილის გამოსვლა აქციაზე თანასწორობის შესახებ კონტექსტიდან ამოგლეჯილად ჰომოფობიურ კონტექსტში ვრცელდებოდა და თავად დავით ბერძენიშვილის შეურაცხმყოფელი და ჰომოფობიური სიტყვებით მოხსენიება ხდებოდა.

18 ნოემბერს ბერძენიშვილის ვიდეო პარალელურად რამდენიმე Facebook გვერდმა დაპოსტა. დასპონსორებული მასალა გამოაქვეყნეს ანტილიბერალურმა გვერდებმა - “სულით ქართველი” და “მოვკვდები საქართველოსთვის”. ბერძენიშვილის გამოსვლის ფრაგმენტი კონტექსტიდან ამოგლეჯილად ასევე გაავრცელეს ანტილიბერალურმა გვერდმა “Pressტიტუცია” და სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიამ “მარშალპრესმა”. აღნიშნული მასალა როგორც ანტილიბერალურმა და ანტიდასავლურმა, ისე მმართველი პარტიის ოპონენტების წინააღმდეგ შექმნილმა გვერდებმა და ტროლ ანგარიშებმა გადააზიარეს.

აქციის დისკრედიტაციის მიზნით ორგანიზებულად ვრცელდებოდა იდენტური შინაარსის პოსტები, რომელშიც ხელისუფლებაში ლგბტ პირების მოსვლის საფრთხეს კულტივირებდა. მაგალითად, ანტილიბერალურლმა გვერდმა “Pressტიტუცია/Presstitution”-მ იგაავრცელა საპროტესტო აქციის მონაწილის ფოტო, რომელიც 1 დეკემბერს 5:30 საათიდან 5:33 საათამდე მონაკვეთში, ანუ 3 წუთის ინტერვალით იდენტური ტექსტით გაავრცელეს სხვა ანტილიბერალურმა გვერდებმა და ერთმა ანტიდასავლურმა გვერდმა.



აქციის მონაწილეები ეკლესიასა და ქრისტიანობას ებრძვიან

როგორც სახელისუფლებო, ისე ანტილიბერალური და ანტიდასავლური Facebook გვერდები ვირუსულად და ორგანიზებულად აზიარებდნენ აქციის ერთ-ერთი მონაწილის გამოსვლის ფრაგმენტს, რომელშიც ის სამღვდელოების წევრებს ანაფორაწამოფარებულ მაფიოზებად მოიხსენიებდა. აღნიშნული გამოსვლის მთელ აქციაზე განზოგადებად და შეკრების მონაწილეთა ეკლესიასთან და ქრისტიანობასთან მებრძოლებად წარმოჩენა ხდებოდა.

Facebook გვერდმა “ქრისტიანებმა გავაზიაროთ” ეს პოსტი დაასპონსორა, ხოლო ქართული ოცნების მხარდამჭერმა გვერდებმა, ანტილიბერალურმა გევრდებმა და ანტიდასავლურმა გვერდებმა ეს პოსტი გადააზიარეს.

აქციის ნაციონალური მოძრაობის მართულია, დემონსტრანტები ოპოზიციის მოსყიდული

გზავნილს, თითქოს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქცია სინამდვილეში ნაციონალური მოძრაობა მართავდა, როგორც ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული ფეისბუკ გვერდები (“ნუ გეშინია მიშა”, “ორი გვამი უნდათ”, “მახსოვს/Makhsovs” და “სექტა”), ისე ანტილიბერალური გვერდი ”ანტი-პარადოქსი” ავრცელებდნენ.



ორგანიზებულად ვრცელდებოდა გზავნილი, თითქოს ოპოზიციურმა პარტიებმა აქციებზე სახელისუფლებო Facebook მედია გვერდები, ასევე ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული და ანტილიბერალური გვერდები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ აქციაზე მისული ხალხი ფულით და მარიხუანით იყვნენ მოსყიდულნი.



მეორე მაიდანი

ხელისუფლების მხარდამჭერი Facebook გვერდები აქციას დესტაბილიზაციას, ძალადობრივს, რევოლუციურს, გატარიალების მცდელობსა და მეორე მაიდანსაც უწოდებენ. მსგავსი პოსტები, რამდენიმე შემთხვევაში დასპონსორებულიც იყო. ამ ნარატივის გავრცელებასა და ხელისუფლების ქმედებების გამართლებაში ანტილიბერალური ჯგუფები და Facebook მედიებიც იყვნენ ჩართული.



პროპორციული საარჩევნო მოდელი არაკონსტიტუციურია

აქციების მიმდინარეობის პარალელურად "ქართული ოცნების" ოფიციალური პარტიული ფეისბუკ გვერდი "ქართული ოცნება" და პარტიის მხარდამჭერი გვერდები: "ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები/Bidzina Ivanishvili" და "Bidzina Ivanishvili & Media", ასევე სახელისუფლებო Facebook მედია "Caucasus News Report" და "საინფორმაციო გვერდი" (რომელსაც წარსულში "ქართული ოცნება/თვითმმართველობის არჩევნები" ერქვა) დასპონსორებული პოსტებით აზიარებდნენ ერთსა და იმავე ვიდეოგრაფიკას, რომლითაც აუდიტორიას არწმუნებდნენ, რომ შემოთავაზებული პროპორციული საარჩევნო მოდელი საქართველოს მოქმედ კონსტიტუციას არ შეესაბამებოდა.



.

სექსისტური გზავნილები

ოპოზიციის ლიდერების დისკრედიტაციის მიზნით მმართველი პარტიის მხარდამჭერი და მისი ოპონენტების წინააღმდეგ შექმნილი ფეისბუკ გვერდები არცელებდნენ სექსისტური შინაარსის პოსტებს საქართველოს პარლამენტის წევრების და ოპოზიციის ლიდერების თინა ბოკუჩავასა და ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ. მაგალითად, “ლიდერი 41”: “ამბობენ აქციებზე უტვინო ნაშობა ჩითავსო:)”; მიხეილ უკრაინოლოგ: “ბოკუჩავა გვარს რომ ამართლებდეს, მინეტავა იქნებოდა”.

ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის მთელ ოპოზიციურ სპექტრთან დაკავშირება

2019 წლის 3 დეკემბერს “ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის მოსკოვში გამგზავრების პარალელურად საპროტესტო აქციის დისკრეტიდაციის კამპანიაში ჩართული გვერდები ცდილობდნენ მისი ვიზიტი მთელს ოპოზიციურ სპექტრთან დაეკავშირებინათ. მაგალითად, დამუშავებული ფოტო, რომელზეც პუტინის გვერდით გიგა ბოკერია, თინა ბოკუჩავა, დავით ბაქრაძე და ოპოზიციის სხვა ლიდერებიც იყვნენ გამოსახული როგორც ხელისუფლების ოპონენტების წინააღმდეგ შექმნილმა გვერდმა (ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო), ისე ანტილიბერალურმა (Pressტიტუცია/Presstitution, 3,14 ზდეც, Fაქტები, Revelation) და ანტიდასავლურმა (Blue Soviet Union / ლურჯი საბჭოთა კავშირი) გვერდებმაც გააზიარეს.

ხელისუფლების ოპონენტების წინააღმდეგ შექმნილი გვერდები "იყავი და გაგეკეთებინა" და "სირცხვილის კორიდორი", ასევე ანტიდასავლური გვერდი "ა ზ ი მ უ ტ ი" აზიარებდნენ რუსული ავიაკომპანია აეროფლოტის ყალბ ბილეთს გრიგოლ ვაშაძის სახელზე თბილისი-ერევანი-მოსკოვის მიმართულებით. ყალბი ავიაბილეთის გავრცელებაში ჩართული იყო 2019 წლის 16 აგვისტოს შექმნილი გვერდი "ინფორმაცია დღეს", რომლის ერთადერთი პოსტიც შექმნის დღიდან ვაშაძის ყალბ ბილეთს უკავშირდება და რომლის სახელწოდება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ წყარო საინფორმაციო გვერდია.









ფეისბუკ გვერდების აქტივობის დინამიკა

“მითების დეტექტორმა“ გაანალიზა საპროტეტსო აქციის დისკრედიტაციაში ჩართული ფეისბუკ გვერდების აქტივობის დინამიკა მიმდინარე წლის 10 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე. გვერდების აქტიურობის პიკი საპროტესტო აქციების მიმდინარეობის პერიოდი - 14-25 ნოემბერი იყო, რაც მოგვიანებით შედარებით შემცირდა.

დიაგრამაზე მოცემულია მმართველი პარტიის ოპონენტების წინააღმდეგ შექმნილი ფეისბუკ გვერდის “სირცხვილის კორიდორის” აქტივობის ცხრილი, რომელშიც ჩანს, რომ მისმა აქტივობამ პიკს 14-17 ნოემბერს მიაღწია.





როგორც “სირცხვილის კორიდორის” ნოემბერ-დეკემბრის თვის აქტივობების შედარების დიაგრამა აჩვენებს, ოქტომბერთან შედარებით გვერდების აქტივობის მაჩვენებელი ნოემბერში გაორმაგებულია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული სახელისუფლებო გვერდი ხელისუფლებისთვის კრიზისულ ვითარებებში აქტიურ კომუნიკაციას მიმართავს.

უმეტეს შემთხვევაში ანალოგიურია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სხვა ფეისბუკ გვერდების აქტივობის დინამიკაც.






ნაცია - ადამიანი ?
INTERACTIONS
VIDEOS
INTERACTION RATE
POST COUNT
PAGE LIKES
10.0
8.00
6.00
4.00
2.00
0.00
Nov 10
Nov 17
Nov 24
Dec 01


არ დაივიწყო წარსული
INTERACTIONS
VIDEOS
INTERACTION RATE
POST COUNT
PAGE LIKES
6.00
5.00
4.00
3.00
2.00
1.00
0.00
Nov 10
Nov 17
Nov 24
Dec 01


გრიგოლ შტაბკვარწირა
INTERACTIONS
VIDEOS
INTERACTION RATE
POST COUNT
PAGE LIKES
8.00
6.00
4.00
2.00
0.00
Nov 10
Nov 17
Nov 24
Dec 01


Beqa Vardosanidze • ბექა ვარდოსანიძე
INTERACTIONS
VIDEOS
INTERACTION RATE
POST COUNT
PAGE LIKES
100
80.0
60.0
40.0
20.0
0.00
Nov 10
Nov 17
Nov 24
Dec 01


Antiliberal League - ანტილიბერალური ლიგა
INTERACTIONS
VIDEOS
INTERACTION RATE
POST COUNT
PAGE LIKES
8.00
6.00
4.00
2.00
0.00
Nov 10
Nov 17
Nov 24
Dec 01